საქართველოს გარემოსა დაცვის და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ოთარ შამუგიას

ბატონო ოთარ,

მოგასხენებთ, რომ შპს „ნახიდური ჰესი" (400207049) ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. ნახიდურის მიმდებარედ მდ. ხრამზე გეგმავს 7.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ნახიდური ჰესი" ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას. გამომუშავებული ელექტრო ენერგიის სახელმწიფო ელექტროსისტემაში ჩართვის მიზნით კომპანიას სამინისტროში წარმოდგენილი ჰქონდა სკრინინგის განაცხადი. სამინისტროს 2020 წლის 25 აგვისტოს N2-759 სკრინინგის გადაწყვეტილებით, საქმიანობა არ დაექვემდებარა გზშ-ის პროცედურას. ამ ეტაპზე კომპანია გეგმავს, აღნიშნულ პროექტში ცვლილების შეტანას, კერძოდ, საპროექტო საკაბელო/საჰაერო ეგხ-ის ნაცვლად, მოეწყობა მთლიანად საჰაერო ეგხ-ის ტრასა. ამასთან, შემცირდება ტრასის საერთო სიგრძე - 3.31კმ. -დან 2.65 კმ-მდე.

მიმდინარე წლის 23 მარტს კომპანიამ წარმოადგინა საპროექტო ცვლილებების სკრინინგის ანგარიში თანდართილ დოკუმენტაციასთან ერთად (განცხადების რეგისტრაციის N6459), რომლის საფუძველზეც სამინისტროში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშში დაშვებულ იქნა ტექნიკური უზუსტობა/შეცდომა, კერძოდ, საჰაერო ეგხ-ის დერეფანში, ნაცვლად მითითებული 14-ისა, განთავსდება 15 საყრდენი (ანძა).

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, შეწყვიტოთ კომპანიის მიმდინარე წლის 23 მარტის N6459 სკრინინგის განცხადების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება, რის შემდეგაც წარმოგიდგენთ განახლებულ ინფორმაციას თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.

დანართი:

1. 2022 წლის 23 მარტის N N6459 სკრინინგის განცხადება (1ფ.).

პატივისცემით,

თენგიზ ალავიძე
შპს „ნახიდურიჰეს"-ის
დირექტორი

15. 04. 2022წ.

შპს "ნახიდური ჰესი" 400207049 GEORGIA. "NAKHIDURI HPP" LLC

N 9407
15 04 2022
1/1 ფ.